კონფლიქტის გაშუქების ეთიკურ-სამართლებრივი სტანდარტები (გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „აფხაზეთის რესპუბლიკა“, 1992-1993 წლები)

ETHICAL AND LEGAL STANDARDS OF CONFLICT COVERAGE (NEWSPAPERS: „REPUBLIC OF GEORGIA“ AND „REPUBLIC OF ABKHAZIA“, 1992-1993)

თამარ ოყუჯავა
დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Tamar Okujava
PhD student
Caucasus International University
Email: Tamar.okujava@ciu.edu.ge
ORCID: 0009-0006-1605-6860
ნინო მინდიაშვილი
პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Nino Mindiashvili
Professor
Caucasus International University
Email: nino.mindiashvili@ciu.edu.ge
ORCID: 0000-0002-6311-3665

აბსტრაქტი

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მედიისათვის ახალი რეალობა შექმნა და ოპერატიულობის ცნება არსებითად შეცვალა. თუკი გასულ საუკუნეში ჟურნალისტებისათვის მთავარი გამოწვევა ინფორმაციის მოპოვება იყო, დღეს მედიის წარმომადგენლებს მიღებული ჭარბი ცნობების გაფილტვრა და აუდიტორიისათვის სანდო, რელევანტური მასალების მიწოდება უწევთ. მიუხედავად ამ ფუნდამენტური ცვლილებებისა, აქტუალურობას არ კარგავს მედიაეთიკისა და სამართლებრივი სტანდარტების მნიშვნელობა. მეტიც, ციფრულ ეპოქაში მათი დაცვა დღითიდღე მეტ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნული კი საფუძველია, თვალი გადავავლოთ ისტორიულ გამოცდილებას და ხელახლა გავაანალიზოთ კრიზისულ პერიოდებში დაშვებული შეცდომები.

ნაშრომი იკვლევს 1992-1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტის გაშუქების ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებს გამოცემების: „საქართველოს რესპუბლიკა“, „აფხაზეთის რესპუბლიკა“ - მაგალითზე. კვლევის მიზანია, გავაანალიზოთ, რამდენად ინარჩუნებდა მედია ობიექტურობასა და რამდენად იცავდა ჟურნალისტურ ეთიკას მძაფრი პოლიტიკური კრიზისის პირობებში და რა როლი ითამაშა ბეჭდურმა სიტყვამ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა თუ პროპაგანდისტული ნარატივების გავრცელებაში.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზისა და შემთხვევის ანალიზის მეთოდები. დამუშავებულია კონფლიქტის მიმდინარეობის შესახებ მომზადებული მასალები, ოფიციალური განცხადებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიძულვილის ენის, ფაქტების დამახინჯებისა და მტრის ხატის ტირაჟირების ასახვის საკითხებს. კომპარატივისტული ანალიზის მეთოდით კი ჩამოყალიბებულია და შედარებულია ქართული და აფხაზური პრესის ძირითადი მახასიათებლები.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ორივე გამოცემაში იკვეთება გარკვეული პროპაგანდისტული ნარატივები. „საქართველოს რესპუბლიკა“ კონფლიქტს უმეტესად ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის დაცვის ჭრილში აშუქებდა, ხოლო გაზეთი „აფხაზეთის რესპუბლიკა“ აქცენტს თვითგამორკვევაზე აკეთებდა და ემოციური ტექსტებით ცდილობდა საქართველოს დისკრედიტაციას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტის გაშუქება, ჟურნალისტური ეთიკა, პროპაგანდა, „საქართველოს რესპუბლიკა“, „აფხაზეთის რესპუბლიკა“.

Abstract

Technological progress has created a new reality for the media and fundamentally transformed the concept of operational speed. While the primary challenge for journalists in the past century was obtaining information, media professionals today must filter an overabundance of incoming data to provide reliable and relevant content to the audience. Despite these fundamental transformations, the importance of media ethics and legal standards remains fully relevant. Moreover, in the digital era, adherence to these standards is becoming increasingly crucial. This provides a strong rationale to examine historical experience and re-evaluate the mistakes made during crisis periods.

This paper examines the ethical and legal standards of reporting during the 1992–1993 War in Abkhazia, focusing on the newspapers „Republic of Georgia“ and „Republic of Abkhazia“. The study aims to analyze the extent to which the media maintained objectivity and observed journalistic ethics during an intense political crisis, as well as the role played by the printed word in shaping public opinion and disseminating propaganda narratives.

The research employs qualitative content analysis and case study methodologies. Materials covering the course of the conflict and official statements were analyzed. Particular attention is paid to issues surrounding hate speech, factual distortion, and the framing of the „enemy image.“ Additionally, comparative analysis was used to outline and contrast the key characteristics of the Georgian and Abkhazian press.

The findings indicate that propaganda narratives were prominently featured in both publications. Sakartvelos Respublika primarily covered the conflict through the lens of protecting statehood and territorial integrity, whereas Respublika Abkhazia emphasized self-determination, employing emotionally charged texts aimed at discrediting Georgia.

Keywords: conflict coverage, media ethics, propaganda, „Republic of Georgia“, „Republic of Abkhazia“.

შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა მედიალანდშაფტი არსებითად შეცვალა. თუ გასულ საუკუნეში მთავარი გამოწვევა ინფორმაციის მოპოვება იყო, დღეს პირველ პლანზე დგას ჭარბი მონაცემების გაფილტვრა, სანდოობის უზრუნველყოფა და ეთიკურ-სამართლებრივი სტანდარტების დაცვა. ჟურნალისტური გამოცდილების კრიტიკული გააზრება და ისტორიული გამოცდილების მიუკერძოებელი შეფასება აუცილებელია თანამედროვე მედიის წინაშე არსებული პროფესიული გამოწვევების დასაძლევად.

1992-1993 წლების აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბეჭდური მედია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მთავარი ინსტრუმენტი იყო. თუმცა, მძაფრი პოლიტიკური და სამხედრო კრიზისის პირობებში მედიასაშუალებებს გაუჭირდათ ობიექტურობისა და ჟურნალისტური ეთიკის შენარჩუნება, რამაც ხელი შეუწყო სიძულვილის ენის, მტრის ხატისა და პროპაგანდისტული ნარატივების ტირაჟირებას.

ნაშრომის მიზანია 1992-1993 წლების პერიოდის გაზეთების, „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „აფხაზეთის რესპუბლიკის“, მაგალითზე კონფლიქტის გაშუქების ეთიკურ-სამართლებრივი სტანდარტების კომპარატივისტული ანალიზი. იმის დადგენა, თუ რამდენად ინარჩუნებდა პრესა ბალანსს და რა როლი ითამაშა მან საზოგადოებრივი განწყობების ჩამოყალიბებაში.

ჰიპოთეზა: ქართული პრესა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით შედარებით დაბალანსებულ, მიუკერძოებელ ინფორმაციას ავრცელებდა, აფხაზური კი, პროპაგანდისტული ნარატივით ცდილობდა საქართველოს დისკრედიტაციას.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში საკმაოდ დიდი პოპულარულობით სარგებლობს დროებით ოკუპირებული ტერიტორიების თემატიკა. გვხვდება არაერთი ნაშრომი, თითოეული მათგანის შესძავლა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი კვლევის სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და მისი ასპექტების განსაზღვრის საქმეში.

პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილის ნაშრომში, „Spreading true Information by Media for Regulation Conflicts“, ქრონოლოგიურადაა წარმოჩენილი ავთენტური ცნობები საქართველოს ისტორიული რეგიონის, ცხინვალის რეგიონისა და იქ მცხოვრები ოსების შესახებ. ავტორი კონფლიქტების დარეგულირებაში მედიის მიერ სწორი ინფორმაციის გავრცელების აუცილებლობაზე საუბრობს. კერძოდ, „დელიკატურ პრობლემებზე წერისას დიდი მნიშვნელობა აქვს ეთიკურ მხარეს“ (Tsotniashvili, 2018:11) - ვკითხულობთ მასალაში.

ალექსანდრე მოსიაშვილის „გაზეთში ,,7 დღე“ გამოქვეყნებული ერთი პუბლიკაციის შეფასებისათვის“ 1990-იანი წლების თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს აღწერს. პუბლიკაციაში განხილულია 1991 წლის 4 იანვარს გამოქვეყნებულ გაზეთ „7 დღის“ ნომერში დაბეჭდილი მასალა სათაურით, „სამოქალაქო ომი თუ მშვიდობა.“ მაშინ, როდესაც ქვეყნის ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული, ლეგიტიმური მთავრობა ძალადობრივად დაამხეს, ალექსანდრე მოსიაშვილი არალოგიკურად მიიჩნევს სამოქალაქო ომზე საუბარს. „თბილისში განვითარებული მოვლენებისათვის სამოქალაქო ომის სტატუსის მინიჭება მხოლოდ იმ ძალების ინტერესებში იყო, რომლებიც კონფლიქტის დროს მოძალადე მხარეს წარმოადგენდნენ.“ (მოსიაშვილი, 2023:)

სწორედაც, თბილისში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები არ უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო ომად. ისევე, როგორც აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს არ უნდა ეწოდოს ქართულ-აფხაზური ომი.

ნორვეგიელი სოციოლოგი, მეცნიერი, მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის აკადემიური დისციპლინის დამფუძნებელი იოჰან ვინსენტ გალტუნგი ჟურნალისტიკას განიხილავს, როგორც სამშვიდობო ტრანსფორმაციის პარტნიორს, რომელსაც ერთ-ერთი პირველი, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონფლიქტების მოგვარების საკითხში.

„კონფლიქტის ტრანსფორმაცია მშვიდობიანი გზით“ მიხედვით, მედიასაშუალებები ან ამძიმებენ სიტუაციას, ან აწარმოებენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას. სამშვიდობო ჟურნალისტიკა კი მოიცავს მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას. სამშვიდობო მედია არ არის მიმართული კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის გამარჯვებულად წარმოჩენისაკენ, მისთვის არ არსებობს კონცეფცია – ჩვენ და ისინი. სამშვიდობო ჟურნალისტიკა არასოდეს აკეთებს აქცენტს, თუ ვინ ისროლა პირველმა, არასოდეს არ ხდის კონფლიქტს ბურუსით მოცულს, იდუმალს, სკანდალურს. (გალტუნგი, 2001:23-28)

Константин Думаа აფხაზეთის კონფლიქტს სტატიებითა და წიგნებით ეხმიანება. „20 послевоенных лет: кто мешает ослаблению конфликтного потенциала между Грузией и Абхазией“ - ნაშრომის პირველივე წინადადებაში იკვეთება მტრული განწყობა საქართველოსა და ქართველების მიმართ. კერძოდ, აფხაზი პოლიტოლოგი ამბობს, „ქართულმა შოვინიზმურმა გონებამ, მასში არსებული უსინდისობით, შვა ურჩხულები აფხაზეთში გაგზავნილი ბარბაროსების სახით.“ (Думаа, 2012)

მოსკოვში დაბადებული პოლიტოლოგი Константин Казенин ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიასა და ომის განვითარების ეტაპებს ბროშურას უძღვნის. „Грузино-абхазский конфликт: 1917-1992“ ორ ძირითად კითხვაზე ცდილობს პასუხის გაცემას: „არის თუ არა აფხაზეთის სახელმწიფო სეპარატისტული სახელმწიფო? იყო თუ არა საქართველო აგრესორი 1992-1993 წლებში?“ (Казенин, 2008) თუმცა დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ, რომ მათზე ცალსახა პასუხების გაცემა შეუძლებელია.

ავტორი მოვლენის აღწერას შორიდან იწყებს და აღნიშნავს, რომ კონფლიქტი 1917 წლის რევოლუციამდე ბევრად ადრე დაიწყო, საბჭოთა ეპოქის განმავლობაში არ შეწყვეტილა და „1992-1993 წლების ომი ეთნიკური ურთიერთობების ხანგრძლივი და რთული ისტორიის შედეგი იყო.“ მიუხედავად მისი სიტყვებისა, რომ ნაშრომი არა პირადი მოსაზრებების, არამედ ფაქტების ერთობლიობაა, მთელ ტექსტს გასდევს ქართული პოლიტიკის საწინააღმდეგო ნარატივი.

კაზენინი დასკვნით ნაწილში საქართველოს იმ განთავისუფლებულ ერებს ადარებს, რომლებიც არა მადლიერები, არამედ მომთხოვნები არიან. და სწორედ ამით ხსნით საქართველოს ინტელიგენციის ნეგატიურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ. იგი ხაზს უსვამს რუსეთის მშვიდობისმყოფელ პოზიციას კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით და საპასუხოდ, ქართველთა მტრულ განწყობას. ნაშრომს კი ვაჟა ფშაველას სიტყვებით ამთავრებს, „თუ მოკლავ, მოგკლავენ, ოჯახი მკვლელობას არ გაპატიებს“ და იმედოვნებს, აღნიშნული ციტატა ამიერკავკასიაში მეზობლებს შორის ურთიერთობებში აღარ იქნება აქტუალური.

ბუნებრივია, განხილულ მასალათა მცირე ნაწილია სტატიაში წარმოდგენილი. შესწავლილ ლიტერატურაზე დაყრდნობით კი უნდა ითქვას, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყება-განვითარებასთან დაკავშირებით მხარეებს არაერთგვაროვანი პოზიციები აქვთ. რუსეთ-საქართველოს ომის გარშემო შექმნილი ლიტერატურა უმეტესად კონფლიქტის ისტორიულ რაკურსსა და შინაარს მიმოიხილავს. თანაც ცალმხრივი ინტერპრეტაციებით. რაც თავის მხრივ, არ შეიძლება თემის სრულყოფილ შესწავლად ჩაითვალოს. ასევე, აფხაზეთის კონფლიქტის ასახვა პრესაში ნაკლებგამოკვლეულია. თითქმის არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის პრესაში ასახვას მოიცავს, მით უმეტეს, რომ ქართული და აფხაზური პრესის შედარებით ანალიზს.

ჩვენი კვლევის მთავარი ინოვაციურობა და სამეცნიერო ღირებულება კი სწორედ ქართული და აფხაზური ბეჭდური მედიის პარალელურ, შედარებით ჭრილში გაანალიზებას ეფუძნება, რაც გარკვეულწილად ავსებს არსებულ სამეცნიერო ვაკუუმს.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ და „აფხაზეთის რესპუბლიკა“ ოფიციალურ პოლიტიკურ ხაზს ექვემდებარებოდა, თუმცა მათ მიერ არჩეული საინფორმაციო სტრატეგიები ფუნდამენტურად განსხვავდებოდა. გაზეთი „აფხაზეთის რესპუბლიკა“ კონფლიქტის პირველივე დღეებიდანვე საინფორმაციო-პროპაგანდისტულად მკაცრად ორგანიზებულ პლატფორმას წარმოადგენდა; იგი ემოციურად დატვირთული, ხშირად ანონიმური თუ ფსევდონიმური ტექსტებით მიზანმიმართულად წარმოაჩენდა ქართველის, როგორც „მტრის ხატს“. საპირისპიროდ, „საქართველოს რესპუბლიკას“ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან მიმართებით მეტ-ნაკლებად დაბალანსებული პოზიცია ეჭირა. იგი არ ცდილობდა აფხაზი ხალხის დემონიზებას, აქვეყნებდა მშვიდობიანი ნარატივის შემცველ მასალებს და თანაბრად წარმოაჩენდა ორივე მხარის პოზიციებსა თუ ისტორიულ სიახლოვეს.

ამავდროულად, „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ სტრატეგიულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გაზეთს მთავარი აქცენტი ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციური ჯგუფების დისკრედიტაციაზე ჰქონდა გადატანილი. შესაბამისად, ქართული ოფიციალური პრესა ვერ პასუხობდა რუსული ძალის მიერ წარმართულ აგრესიულ საინფორმაციო შეტევას და აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების კრიტიკული და ანალიტიკური გააზრება გაზეთის ყურადღების მიღმა დარჩა.

მეთოდები

საკვლევი საკითხის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კონტექსტის გაანალიზება, მხარეთა მოსაზრებებისა და შეხედულებების შედარება. შესაბამისად, კვლევას საფუძვლად თვისებრივი კვლევის მეთოდები უდევს.

მუშაობის პროცესში გამოყენებულმა ინსტრუმენტებმა საშუალება მოგვცა, თანმიმდევრულად და ძირეულად შეგვესწავლა ისტორიული კონტექსტი, კონკრეტული მაგალითების დახმარებით გაგვეანალიზებინა და გამოგვეკვეთა მხარეთა მიდგომები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და საბოლოოდ, თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით საკვლევად დასახულ კითხვებზე პასუხები გვეპოვა. აღნიშნულის საფუძველზე კი გამოვიტანეთ ლოგიკური დასკვნები.

კონტენტანალიზი, როგორც მრავალმხრივი საკვლევი ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც შინაარსის ობიექტურად, სისტემატურად შესწავლა შეიძლება, 1952 წლიდან გვხვდება და მის შესახებ შრომა ბერნარდ ბერელსონს ეკუთვნის.

ჩვენი კვლევის მთავარი მიზნის, გაზეთების: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „აფხაზეთის რესპუბლიკა“, 1992-1993 წლების ნომრების მაგალითზე ქართული და აფხაზური პრესის საინფორმაციო სტრატეგიების განსაზღვრისა და მათი ეთიკურ-სამართლებრივი შესაბამისობების დადგენის საქმეში რელევანტური თვისებრივი კონტენტანალიზის გამოყენება გამოდგა.

ასევე, შემთხვევის ანალიზის პრინციპით განვიხილეთ ქართული და აფხაზური გაზეთების კონკრეტული პუბლიკაციები, რის საფუძველზეც ლოგიკური დასკვნების გამოტანა შევძელით.

ბუნებრივია, კვლევა, სპეციფიკის გათვალისწინებით, შედარებითი ანალიზის გარეშე ვერ შედგებოდა. შეიძლება ითქვას, კომპარატივისტული მიდგომა გახდა ის გარდამტეხი, რამაც შეკრა და ხაზი გაუსვა ქართველ და აფხაზ მედიამკვლევართა, ჟურნალისტთა პოზიციების მსგავსებასა და განსხვავებებს აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიასა და მის პრესაში ასახვასთან დაკავშირებით.

შედეგები და მსჯელობა

საქართველოს პოლიტიკური კონტექსტი 1990-იან წლებში

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და 1990-იანი წლების პოლიტიკურ კრიზისს საფუძველი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდმა ჩაუყარა. 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, მკაცრი რეპრესიებისა და ცენზურის მიუხედავად, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა არ შეწყვეტილა. გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, ქართველი ინტელიგენციის, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ, ორგანიზებულ ეტაპზე გადავიდა. ამ პროცესში გარდამტეხი აღმოჩნდა 1978 წლის 14 აპრილი, მშობლიური ენის დასაცავად გამოსული საზოგადოების მტკიცე პროტესტი, რამაც ეროვნული ცნობიერების გაღვიძების პროცესი საბოლოოდ შეუქცევადი გახადა. 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა იმპერიის მოდერნიზების („პერესტროიკა“) წარუმატებელმა მცდელობამ სისტემის მოწყვლადი ბუნება სააშკარაოზე გამოიტანა, რასაც საპასუხოდ კრემლის მხრიდან ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირება მოჰყვა.

1989 წლის 18 მარტის „ლიხნის მიმართვასა“ და აფხაზური სეპარატიზმის გააქტიურებას თბილისში ფართომასშტაბიანი ანტისაბჭოთა აქციები მოჰყვა, რაც იმავე წლის 9 აპრილს მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევით დასრულდა.

საბჭოთა ოკუპაციის 70-წლიანი პერიოდის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა. ახლადშექმნილი სახელმწიფოს წინაშე წამოჭრილი უმძიმესი პოლიტიკური და სოციალური კრიზისების ფონზე, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრა ბეჭდურ მედიას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ამ

თვალსაზრისით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992-1993 წლების ნომრები ქვეყანაში მიმდინარე დესტრუქციული პროცესებისა და აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქების თვალსაჩინო ისტორიულ-ემპირიულ ანარეკლს იძლევა.

აფხაზეთის კონფლიქტის ასახვა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“

„საქართველოს რესპუბლიკა“ ოფიციალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველდღიური გამოცემა იყო. გაზეთი ჯერ კიდევ 1918 წლის 25 ივლისს დაარსდა, საბჭოთა პერიოდში „კომუნისტის“ სახელწოდებით გამოდიოდა, ხოლო ფუნქციონირება 1990 წლის 9 დეკემბრიდან განაახლა. 1992-1996 წლებში მისი მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი გახლდათ. როგორც სახელმწიფო საბჭოსა და შემდგომში პარლამენტის ოფიციალური ორგანო, იგი უმსხვილეს საბიუჯეტო დაფინანსებას იღებდა, რაც მის მაღალ ტირაჟსა და ინსტიტუციურ გავლენაზე მიუთითებდა. შესაბამისად, გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა სრულად ასახავდა ოფიციალური თბილისის პოზიციასა და პოლიტიკურ დღის წესრიგს.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლა გაზეთის 15 აგვისტოს ნომრის პირველივე გვერდზე აისახა. ოფიციალური ნარატივით, სამხედრო ნაწილები რეგიონში შევიდნენ: „შევიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ დასავლეთ საქართველოს რაიონებში შეიარაღებული ბანდების თარეშს.“ ("ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა აფხაზებს, ქართველებს, ყველას - არ დაუშვან მდგომარეობის გართულება", 1992) გაზეთი დეტალურად აშუქებდა ედუარდ შევარდნაძის ბრიფინგებს, სადაც სამხედრო ნაბიჯების მიზეზებად მოლაპარაკებების დროს შინაგან საქმეთა მინისტრ რომან გვენცაძის, დავით სარალიძისა და ზიბერტ ხაზალიას მძევლად აყვანა და 13 აგვისტოს რკინიგზის ხიდის აფეთქებაა დასახელებული. ამავე ნომერში გვხვდება ცნობები საერთაშორისო დელეგაციების (სომხეთის პრემიერ-მინისტრ ხოსროვ არუთიანისა და ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის) ვიზიტების შესახებ. ისინი მხარეებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდებდნენ.

გაზეთის საინფორმაციო ნაკადში წარმოჩენილია აფხაზური მხარის პოზიციაც. კერძოდ, აფხაზეთის შსს-ს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ალექსანდრე ანქვაბის ინტერვიუ, რომელიც „ორი დღის განმავლობაში გალის რაიონის სოფელ კოხორაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს ტერორისტებთან მძევლების განთავისუფლების შესახებ.“ ("სოხუმი, 14 აგვისტო", 1992) ამავდროულად, პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება აქცენტები რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული როლის შესახებ. მწერალი რევაზ მიშველაძე აღნიშნავდა, რომ რუსეთი საქართველოს „ხან სამაჩაბლოში შემოხიზნულ ოსებს აუმხედრებს, ხან აფხაზებს გამოაცხადებინებს საქართველოდან გამოყოფას, ხან გაზს გადაუკეტავს, ხან ეკონომიკურ ბლოკადას მოახვევს თავს.“ (მიშველაძე, 1992:3)

1992 წლის 18 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა სახელმწიფო საბჭოს მიმართვა: „მოგმართავთ ჩვენი, ქართველი და აფხაზი, ხალხების საერთო განსაცდელის ჟამს.“ ("საქართველოს რესპუბლიკა", 1992:1) ტექსტში ხაზგასმულია ორი ხალხის ისტორიულ-კულტურული ერთობა, ვლადისლავ არძინბას პროვოკაციული ქმედებები. ამავდროულად, კონფლიქტის ესკალაციაში ბრალს სდებენ ექსპრეზიდენტ ზვიად

გამსახურდიასა და მის მომხრეებს. როგორც კვლევამ აჩვენა, შიდაპოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია გაზეთის ერთ-ერთ ცენტრალურ ხაზად იქცა. აღნიშნული გამოიხატება მურთაზ აბაშიძის კარიკატურებშიც: ნაჯახით ხელში გამსახურდია საქართველოს აფხაზეთს აჭრის.

„საქართველოს რესპუბლიკის“ ნომრების დამუშავებამ გამოავლინა, რომ გაზეთის ფურცლებზე გვხვდება ტერმინოლოგიური ხარვეზები: ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირები რეგულარულად მოიხსენიებოდნენ ტერმინით - ლტოლვილები (ნაცვლად „დევნილისა“).

გაზეთი პერიოდულად აშუქებდა რუსეთის ოფიციალურ პოზიციებსაც. მაგალითად, რუსლან ხასბულატოვის განცხადება, რომ აფხაზეთი საქართველოა და ჯოხარ დუდაევს იქ ჯარის შეყვანის უფლება არ ჰქონდა, ხოლო რუსული სადესანტო ჯგუფები მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების დასაცავად იყვნენ მობილიზებულნი. მოგეხსენებათ, აღნიშნულ „არგუმენტს“ რუსეთის ფედერაცია დღემდე იყენებს აგრესიის გასამართლებლად.

1992 წლის 19 აგვისტოს ნომერში საუბარია რუსეთის რეაქციული ძალების მხარდაჭერაზე ვლადისლავ არძინბას მიმართ, აფხაზეთის პარლამენტის ქმედებებთან დაკავშირებით კი ვკითხულობთ, „ყველა მოქმედება და საქციელი ობიექტურად უკავშირდება ექსპრეზიდენტის მომხრეთა ანტიხალხურ საქმიანობას.“ (სახელმწიფო საბჭოს პრესსამსახური, 1992) მიუხედავად ამ პოლიტიკური ტენდენციურობისა, „საქართველოს რესპუბლიკის“ რეპორტაჟებში სოხუმიდან იკვეთებოდა მშვიდობიანი და ჰუმანური ნარატივი. ჟურნალისტები და ეროვნული გვარდიის წევრები აცხადებდნენ, რომ არძინბამ „ხელყო ქართული სახელმწიფოს მთლიანობა“, (ძალიძე, 1992:1) თუმცა აფხაზ ხალხთან საომარი არაფერი ჰქონდათ.

გაზეთი 25 აგვისტოს ნომერში გამოეხმაურა რუსეთის საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას. კერძოდ, „ვესტმა“ განაცხადა, რომ დრანდის საგამოძიებო იზოლატორში მძევლად ჰყავდათ „ექსპრესქრონიკის“ კორესპონდენტი იზიდა ჭანია. ფაქტი ქალაქ სოხუმის კომენდანტმა უარყო. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში რუსეთის რესპუბლიკის არაგულწრფელი და მეტიც, მტრულად წამქეზებლური პოლიტიკის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მცირე რაოდენობით, თუმცა მაინც იწერებოდა. კერძოდ, 1993 წლის სექტემბრის ნომრებში ვხვდებით მასალებს, სადაც რუსეთის ფარისევლურ მოთქმასა და წუხილზეა საუბარი.

ინფორმაციულ ომთან ერთად, გამოცემა ადგილს უთმობდა მხატვრულ-პუბლიცისტურ ტექსტებს, რომლებიც ქართულ-აფხაზური ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების აქცენტირებას ისახავდა მიზნად. 22 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ჯუზეპე ჯუსტის ნოველა „ტობია და ბუზი“ ალეგორიული გზავნილით: „ამ უკიდეგანო სოფელში ხომ ორივე დავეტევით ისე, რომ ერთმანეთს სიცოცხლე არ გავუმწაროთ, ერთმანეთს არ ვერჩოდეთ!“ ("ტობია და ბუზი", 1992:4)

სრულიად შეცვლილი და პესიმისტური განწყობა სუფევს 1993 წლის 1 სექტემბრის ნომერში, სადაც საზეიმო პათოსი ჩანაცვლებულია ეკონომიკური ქაოსითა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევის ტრაგიკული განცდით. 1993 წლის 28 აგვისტოს ნომერში ჟურნალისტი ზაირა ჩომახაშვილი 13-თვიან ომს აჯამებს და აღნიშნავს, რომ დაღვრილი სისხლი „მომხდური აგრესორის, უგულო მსოფლიოს, ყველაზე მეტად კი

შინაური მოღალატეების სინდისზე იყოს, ვისთვისაც არც სოხუმი იყო ტკივილი და არც მისი დაცემა - ტრაგედია.“ (ჩომახაშვილი, 1993:3)

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992-1993 წლების ფურცლები უმეტესად ოფიციალურ განცხადებებსა და პრესრელიზებს ეთმობოდა. გაზეთის უმთავრესი ნაკლოვანება შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაზე გადატანილი აქცენტია, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების შემდგომ პოლარიზაციას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი პროფესიული და ეთიკური ღირსებაა ის, რომ გამოცემას არ მოუხდენია აფხაზი ხალხის დემონიზება და იგი ინარჩუნებდა მშვიდობიან ნარატივს.

გაზეთ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ საინფორმაციო სტრატეგია და პოლიტიკური რაკურსები

1991 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას უშუალო ინიციატივით, დაარსდა გაზეთი „აფხაზეთის რესპუბლიკა“ (მთავარი რედაქტორი: ვიტალი ჩამაგუა, მოადგილე: ვიტალი შარია). გამოცემის დაფუძნების თარიღის თანხვედრა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მკვეთრ ესკალაციასთან შემთხვევითი არ ყოფილა. მისი თავდაპირველი დანიშნულება სწორედ სეპარატისტული და რუსული საოკუპაციო ძალებისათვის სასურველი იდეოლოგიური გზავნილების მასობრივი ტირაჟირება იყო.

მართლაც, გაზეთი იქცა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ცენტრალურ მედიაპლატფორმად, რომლის ისტორიულ-ინსტიტუციურ მნიშვნელობას აფხაზურ სამეცნიერო სივრცეში დღესაც უსვამენ ხაზს (ამის დასტურია 2021 წელს დე-ფაქტო მინისტრთა კაბინეტის მიერ შექმნილი რესპუბლიკური სახელმწიფო ინსტიტუტი „Апснымедиа“, რომელმაც „Республика Абхазия“ სხვა სახელმწიფო მედიასაშუალებებთან გააერთიანა).

1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში „აფხაზეთის რესპუბლიკის“ სულ 75 ნომერი გამოიცა. ამ ნომრებში გამოქვეყნებული მასალების რაოდენობრივი და თემატური სტრუქტურა შემდეგნაირად ნაწილდება: 461 ავტორისა და რედაქციის მიერ ხელმოწერილი ინფორმაცია, 336 ცნობა ადამიანთა გარდაცვალების, დაკარგვისა თუ ტყვედ ჩავარდნის შესახებ, 154 ოფიციალური დოკუმენტი (მიმართვები, რეზოლუციები, განცხადებები), აგრეთვე, მოქალაქეთა კოლექტიური მოწოდებები, რუსული პრესის მასალები, ლექსები, ესეები და ანეკდოტებიც კი. გაზეთის წამყვან ჟურნალისტთა შორის ფიგურირებდნენ: ვიტალი შარია (фсевдонимит В. Шакрыл), ზაირა წვიჟბა, ოლეგ შამბა, ვალერი გაზიზულინი (фсевдонимит Н. Галин), ლ. ლიუბჩენკო, ე. ბებია და სხვები. (А. Ф. Авидзба, В. З. Чамагуа , 2017:3-22)

გამოცემის თითოეული ნომერი ატარებდა რუსულ პროპაგანდისტულ ნარატივს. 1992 წლის 28 აგვისტო-8 სექტემბრის ნომერში ვიტალი შარია ემოციურად აღწერდა გუმისთაში ქართული ტანკების შეჩერებას, ხოლო ზაირა წვიჟბა 15-17 სექტემბრის მასალებში ტყვარჩელის დაბომბვასა და გადამწვარ ქალაქს აღწერს. უიმედო ფონის მიუხედავად, ავტორი დასძენს: „და მაინც, ქალაქი ძლებს, მტკიცედ ძლებს“. (Цвижба, 1992) ამავე ტექსტში შექმნილია ეთნიკური სოლიდარობის ილუზია. კერძოდ, დახატულია სურათი ტყვარჩელში მცხოვრები რუსის შესახებ, რომელიც მიწას კოცნის.

ავტორის თქმით, დანარჩენი რუსებისთვისაც, რომლებიც მოსახლეობის 30%-ს შეადგენენ, ქალაქი დიდი ხანია მშობლიურად იქცა. პარალელურად, ბაგრატ შინკუბასთან ინტერვიუში ზაირა წვიჟბა აღნიშნავს: „საშინელებაა, როდესაც ძმა ძმაზე ხელს აღმართავს. ნუთუ ამის შემდეგ ის ძმაა?“ - რითაც კონფლიქტის მორალურ პასუხისმგებლობას სრულად ქართულ მხარეს აკისრებს.

ქართული სახელმწიფოსა და მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია გაზეთის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა. 1992 წლის 1-3 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში - „საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აპროტესტებენ“ - ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლა შეფასებულია, როგორც გარედან მხარდაჭერილი პუტჩი: „შევარდნაძემ, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთის ხალხის გენოციდს, ტერორსა და ძარცვას ახორციელებდა, ადამიანის უფლებებს არღვევდა, კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა“. ("Депутаты ВС Грузии протестуют", 1992) 26-29 ოქტომბრის ნომერში ლაკობას ანალიტიკურ სტატიაში საქართველოს პოლიტიკა იმპერიალისტურად არის მონათლული. ავტორის მტკიცებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაეროში მიღებით დაირღვა „მათ შორის, აფხაზების, რომლებსაც უძველეს დროში საკუთარი სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ“ (ЛАКОБА, 1992) უფლებები, ხოლო საქართველო და რუსეთი მოხსენიებულნი იყვნენ ძალებად, რომლებიც მოქმედებდნენ პრინციპით - „ვინც ძლიერია, მართალია.“

ნოემბრის ნომრებში იბეჭდებოდა წერილები რუსეთში არსებული „ქართული ლობის“ შესახებ, სადაც სტალინიდან მოყოლებული შევარდნაძემდე ქართული ინტერესების გატარება „მცირე ერების“ ჩაგვრად საღდებოდა. საპირისპიროდ, გაზეთი სისტემატურად გამოხატავდა მადლიერებას კავკასიის ხალხებისადმი, რომლებიც „ქართველი აგრესორების“ წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ აფხაზებს.

აღსანიშნავია, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ პროპაგანდისტული ნარატივები ასახული იყო თითოეულ ჟანრულ ერთეულში, ანეკდოტებსა და ლექსებში ქართველი ჯარისკაცები სასაცილო და მხდალ ადამიანებად არიან წარმოჩენილნი. მაგალითად, დეკემბრის ნომრის ომისდროინდელ ანეკდოტებში ჯოჯოხეთში შეხვედრილი ბერია და შევარდნაძე აფხაზებთან დამარცხებას აღიარებდნენ. ("Анекдоты, рожденные войной", 1992) საინფორმაციო ომის სიმძაფრესა და აგრესიულ რიტორიკას ადასტურებს 1993 წლის 11 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ფრაზებიც: „რუხში მეგობრობის ხიდი ტანკების სიმძიმის ქვეშ ჩამოინგრა,“ „ქართველი გვარდიელები იმდენად წარმატებულები იყვნენ აფხაზეთში რკინიგზის დაცვაში, რომ რელსები დაჟანგდა“. (Герховский, 1993)

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკა“ შეიარაღებული დაპირისპირების ცხელ ფაზაში საინფორმაციო ფრონტის ერთ-ერთი მთავარი იარაღი იყო. გაზეთმა შექმნა და თაობებს შემოუნახა მკვეთრად ტენდენციური, ემოციურად დატვირთული და ყალბი ისტორიული ნარატივი. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველის, როგორც სასტიკი მტრისა და აგრესორის ხატის დამკვიდრებაში, ხოლო რუსეთის ფედერაციის საომარი და სეპარატიზმის მხარდამჭერი პოლიტიკა მშვიდობისმყოფელობად წარმოაჩინა, რაც დღემდე რჩება ანტიქართული პროპაგანდის მთავარ საყრდენად.

შემთხვევის ანალიზი და კომპარატივისტული შეფასება: „შევჩერდეთ!“ „Здравствуй, столица!“

მედიის, როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და კრიზისების მართვის მექანიზმის, პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მწვავედ ომისა და პოლიტიკური კატაკლიზმების დროს ვლინდება. ქართული და აფხაზური პრესის სარედაქციო პოლიტიკისა და ეთიკურ-სამართლებრივი ასპექტების საილუსტრაციოდ თვალსაჩინოა კონკრეტული ქეისების შედარებითი ანალიზი: პროფესორ ვლადიმერ გაგუას პუბლიცისტური წერილი „შევჩერდეთ!“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 14 ოქტომბერი) და ჟურნალისტ ვიტალი შარიას რეპორტაჟი „Здравствуй, столица!“ („აფხაზეთის რესპუბლიკა“, 1993 წლის სექტემბრის მიწურული).

ვლადიმერ გაგუას წერილი მორალურ-ანალიტიკური მოწოდებაა, რომელიც საზოგადოების ღირებულებით კრიზისსა და ძალადობის მექანიზმის ტრაგიკულ შედეგებს ასახავს. ავტორი რეალობას კრიტიკულად აფასებს და დაინტერესებულ მხარეებს დესტრუქციული ქცევის შეწყვეტისა და დიალოგისაკენ მოუწოდებს. ტექსტში იდენტიფიცირებულია კონფლიქტის ისტორიულ-პოლიტიკური საფუძვლები: „სეპარატისტებთან ერთად იმპერიული ძალები აღიმართნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე“. (გაგუა, 1993:3) ავტორი ხაზს უსვამს, რომ ქვეყანამ ვერ შეძლო ძმათამკვლელი ომის აცილება, ხოლო დასავლეთ საქართველოში გაჩაღებული სამოქალაქო დაპირისპირება არანაკლებ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრიობას.

კოლექტიური ნაცვალსახელის („ჩვენ“) გამოყენებით ტექსტი ცდილობს პასუხისმგებლობის გაზიარებასა და საზოგადოებრივი კონსოლიდაციის მიღწევას. თუმცა, ეთიკურ-სამართლებრივი ჭრილში, ამ ქეისში იკვეთება გარკვეული სუსტი მხარეებიც. მართალია, მასალა თავისუფალია სიძულვილის ენისა და მტრის ხატის ტირაჟირებისგან, მაგრამ იგი ატარებს აბსტრაქტულ-მორალისტურ ხასიათს. მიმართვა ნაკლებად შეიცავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სიღრმისეულ სამართლებრივ თუ პოლიტიკურ ანალიზს და გამოირჩევა არასისტემატურობითა თუ არამასობრივობით.

სრულიად საპირისპირო ნარატივსა და ჟურნალისტურ მიდგომას გვთავაზობს ვიტალი შარიას რეპორტაჟი, რომელიც სოხუმის დაცემისა და აფხაზური შეიარაღებული ფორმირებების მიერ ქალაქის დაკავების ეიფორიას ასახავს. ტექსტში ფართოდ გამოიყენება აპოკალიფსური ვიზუალური სიმბოლიკა: დანგრეული შენობები, გადამწვარი ობიექტები და ჩამოწყვეტილი ტროლეიბუსის ხაზები. თუმცა, ჟურნალისტი ამ ნგრევას წარმოაჩენს არა დეპრესიულ ტრავმად, არამედ „ეროვნული აღდგენისა“ და გამარჯვების აუცილებელ ფასად.

ამ პუბლიკაციაში მკაფიოდ იკვეთება მტრის დემონიზაციისა და საკუთარი ბრძოლისუნარიანობის მითოლოგიზაციის დისკურსი. ქართული მხარე დახასიათებულია ცალსახად ნეგატიურ ჭრილში, როგორც მატყუარა ძალა: „ასე აპირებდა ქართული მხარე 27 ივლისის სოჭის შეთანხმების შესრულებას, თავისი ჯარისკაცებისთვის სამოქალაქო ტანსაცმლის გადაცმით“. (Шария, 1993) ვიტალი შარია მიზანმიმართულად იყენებს ემოციურ სემიოტიკას, სადაც აფხაზ მებრძოლთა

მსხვერპლი „წმინდა გამარჯვების“ საფუძვლად არის გამოცხადებული. აღნიშნული პროპაგანდისტული მედიანარატივის კლასიკური ნიმუშია, თუმცა ფაქტია, იგი სწორედ ამიტომ, კვალს ტოვეს მკითხველის ცნობიერში.

„აფხაზეთის რესპუბლიკის“ აგრესიულმა და ემოციურმა მოდელმა მოკლევადიან პერიოდში საზოგადოებრივი მობილიზაცია მეტად შეძლო, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკის“ პასიურმა და შიდა კრიზისზე ფოკუსირებულმა სტრატეგიამ ვერ შეძლო ეფექტიანი საინფორმაციო-ანალიტიკური ფრონტის უზრუნველყოფა.

დასკვნა

XX საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური გარემო დინამიკურობით, მწვავე კატაკლიზმებითა და პროცესთა შეუქცევადი ცვლილებებით ხასიათდებოდა. საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობამდე სავალმა გზამ პოლიტიკური რეპრესიები, საზოგადოებრივი პროტესტები და სამოქალაქო თავგანწირვა მოიცვა. 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის მიუხედავად, ქვეყანა უმძიმესი გეოპოლიტიკური წნეხის, რუსეთის მიერ ინსპირირებული სეპარატისტული კონფლიქტებისა და შიდაპოლიტიკური კრიზისის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ამ რთულ ისტორიულ მონაკვეთში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდა ბეჭდურ მედიას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და იდეოლოგიური ბრძოლის მთავარ ასპარეზს წარმოადგენდა.

წინამდებარე კვლევამ 1992-1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტის გაშუქების ეთიკურ-სამართლებრივი სტანდარტები კომპარატივისტულ ჭრილში შეისწავლა ორი ოფიციალური გამოცემის: „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მაგალითზე.

კვლევამ დაადასტურა ჰიპოთეზა, 1992–1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტის გაშუქებისას ქართული და აფხაზური ბეჭდური გამოცემების საქმიანობა პოლიტიკურ დღის წესრიგს ექვემდებარებოდა, თუმცა მათ მიერ გამოყენებული მედიასტრატეგიები, ეთიკური საზღვრები და ნარატივები რადიკალურად განსხვავდებოდა.

გაზეთი „აფხაზეთის რესპუბლიკა“ ომის პირველივე დღეებიდანვე მოევლინა საზოგადოებას საინფორმაციო-პროპაგანდისტულად მკაცრად ორგანიზებულ, წინასწარ დაგეგმილ პლატფორმად. გამოცემის მთავარ მიზანს აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის გაღვივება, რუსული საოკუპაციო პოლიტიკის ლეგიტიმაცია და ქართველის, როგორც მტრის ტირაჟირება იყო. ჟურნალისტური ეთიკის უგულებელყოფით, ემოციურად დატვირთული, ხშირად ანონიმური თუ ფსევდონიმური ტექსტებით, ანეკდოტებითა და ლექსებით გაზეთი მიზანმიმართულად თესავდა ეთნიკურ შუღლს. „აფხაზეთის რესპუბლიკამ“ შექმნა ისტორიული დისკურსი, რომელმაც აფხაზურ ცნობიერებაში ათწლეულების მანძილზე დაალექა საქართველოს მიმართ შიშისა და ზიზღის განცდა.

საპირისპიროდ, „საქართველოს რესპუბლიკა“ თვისებრივად განსხვავებულ მიდგომას ემყარებოდა. მიუხედავად ომის სისასტიკისა, გაზეთს აფხაზი ხალხის დემონიზება და მტრის ხატად ქცევა არ უცდია. გამოცემაში დაბეჭდილი მასალები: სტატიები, ინტერვიუები, მხატვრული ნოველები თუ ისტორიული წერილები - გამსჭვალული იყო

მშვიდობიანი პათოსით, ქართულ-აფხაზური ისტორიული სიახლოვისა და ძმობის აქცენტირებით. გაზეთი ინარჩუნებდა ჰუმანურ ჟურნალისტურ სტანდარტებს და მეტ-ნაკლებად თანაბრად წარმოაჩენდა ორივე ხალხის საჭიროებებსა და მოლოდინებს.

თუმცა, კვლევამ გამოკვეთა „საქართველოს რესპუბლიკის“ ფუნდამენტური სტრატეგიული და პროფესიული ნაკლოვანებებიც. გაზეთის მთავარ უარყოფით სეგმენტად იქცა შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაზე გადატანილი ყურადღება. კერძოდ, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციური ჯგუფების დისკრედიტაცია. იმ დროს, როდესაც ქართველი ქართველს პოლიტიკური ძალაუფლების გამო არ ინდობდა, ოფიციალურმა პრესამ ვერ შეძლო კონფლიქტის გამომწვევი სიღრმისეული მიზეზების კრიტიკული და ანალიტიკური გააზრება. შიდა კრიზისით გამოწვეულმა ფოკუსის დაკარგვამ და ანალიტიკური მასალების სიმცირემ განაპირობა ის, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ ვერ პასუხობდა მოწინააღმდეგე მხარის აგრესიულ საინფორმაციო შეტევას.

საქართველო რუსეთთან საინფორმაციო ომში დამარცხდა. ოტია იოსელიანის მიერ ინტერვიუში ნათქვამი სიტყვები კი - „ქარიშხლის მოტაცებულ ხომალდს შიგნიდან ტყვიას ვუშენთ რომ კედლები დავუხვრიტოთ“, ("საქართველოს რესპუბლიკა") ზუსტად ასახავს იმ პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებმაც საბოლოოდ, მტრის წისქვილზე დაასხა წყალი.

ბიბლიოგრაფია

"Анекдоты, рожденные войной". (1992, დეკემბერი 24). *"Республика Абхазия"*.

"Депутаты ВС Грузии протестуют". (1992, ოქტომბერი 1-3). *"Республика Абхазия"* .

"ედუარდ შევარდნაძემ მოუწოდა აფხაზებს, ქართველებს, ყველას - არ დაუშვან მდგომარეობის გართულება". (1992, აგვისტო 15). *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 4.

"საქართველოს რესპუბლიკა". (n.d.).

"საქართველოს რესპუბლიკა". (1992, აგვისტო 18). *"შეუძლებელია აფხაზმა ხალხმა არ იცოდეს, რომ საქართველოს ძლიერება, მისი სტაბილურობა აფხაზთა ინტერესებსაც ემსახურება"*, p. 4.

"სოხუმი, 14 აგვისტო". (1992, აგვისტო 15). *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 5.

"ტობია და ბუზი". (1992, აგვისტო 22). *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 4.

Tsotniashvili, Z. (2018). *"Spreading true Information by Media for Regulation Conflicts".*

А. Ф. Авидзба, В. З. Чамагуа . (2017). *"Газета «Республика Абхазия» 14 августа 1992 г. – 30 сентября 1993 г.".* Сухум : "АбИГИ".

Герховский, К. (1993, თებერვალი 11). "Фразы". *"Республика Абхазия"*.

Думаа, К. (2012). *„„20 послевоенных лет: кто мешает ослаблению конфликтного потенциала между Грузией и Абхазиуй“".*

Казенин, К. (2008). *„Грузино-абхазский конфликт: 1917-1992“.* Москва: "Европа".

ЛАКОБА, Я. (1992, ოქტომბერი 26-29). "Международное право и факты из живой практики". *"Республика Абхазия".*

ЦВИЖБА, З. (1992, სექტემბერი 16-24). "В осажденном городе". *"Республика Абхазия".*

Шария, В. (1993, სექტემბერი 30). "Здравствуй, столица!". *"Республика Абхазия".*

ა., ძ. (1992, აგვისტო 21). "დღეს იყო გუშინ...". *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 4.

გაგუა, ვ. (1993, ოქტომბერი 14). "შევჩერდეთ!". *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 4.

გალტუნგი, ი. ვ. (2001). *„კონფლიქტის ტრანსფორმაცია მშვიდობიანი გზით“.*

მიშელაძე, რ. (1992, აგვისტო 15). "რა გადაარჩენს საქართველოს?". *"საქართველოს ისტორია"*, p. 4.

მოსიაშვილი, ა. (2023). "გაზეთში ,,7 დღე“ გამოქვეყნებული ერთი პუბლიკაციის შეფასებისათვის". *"ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია"*, 119-130.

სახელმწიფო საბჭოს პრესსამსახური. (1992, აგვისტო 19). *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 4.

ჩომახაშვილი, ნ. (1993, სექტემბერი 28). "იმათ სინდისზე იყოს!". *"საქართველოს რესპუბლიკა"*, p. 4.

მადლიერება

გულწრფელ მადლიერებას გამოვხატავ ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ ნინო მინდიაშვილის მიმართ გაწეული პროფესიული კონსულტაციებისა და ღირებული რჩევებისათვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს მშობლიურ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს მუდმივი მხარდაჭერისთვის და მადლობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს მოცემული შესაძლებლობისათვის. ამასთანავე, მადლიერი ვარ ყველა იმ მკვლევრისა და ავტორისა, რომელთა სამეცნიერო შრომები წინამდებარე სტატიის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაშია ასახული. მათი გამოცდილება და მიგნებები განსაკუთრებულად ღირებულია ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მკვლევრისათვის.